

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი

06.04.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

დავით კიკალეიშვილი - სხდომის თავმჯდომარე;

დიმიტრი ალავეძე - სხდომის მდივანი;

იაგორ კალანდაძე;

მიხეილ კორძაბია;

ზაქარია შველიძე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

თამარ შუდრა - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ირმა ნოზაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ ურუშაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

რესულ დიქმენი - კანცლერი;

ქეთევან ლაფაჩი - ფინანსების სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი;

თინათინ კუბლაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ა(ა)იპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ლევან მიდოდაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ეკატერინე გიგაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;

ციური დურული - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი.

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ნატო ჩიხლაძე - პრორექტორი;

თამარ ლობჯანიძე - ჯანდაცვის სკოლის რექტორი.

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

გიორგი ღავთაძე - რექტორი;

კონსტანტინე სირბილაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

გოჩა თუთბერიძე;

ციური დურული;

ირმა ღარიბაშვილი;

ნატალია ბარათელი;

სოფიო უჩანეიშვილი;

მიხეილ ლაბარტყავა;

ომარ ფურთუხია.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:20 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს -აიბი-მთიების დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს -აიბი-მთიების საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს -აიბი-მთიების საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს -შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საექთნო საქმე საერთაშორისო სტუდენტებისათვის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგიონალური გეოგრაფიისა და რეკრეაციული რესურსების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგიის) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციათა თეორიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
17. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიფერენციალური განტოლებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
18. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნეირომეცნიერებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
19. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

მასალათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
46. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკური მოდელირება ინჟინერიაში სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ნანა ჭილაძემ განაცხადა რომ, 2012 წლის 6 აპრილს ცენტრში შემოვიდა შპს - აიბი მთიების წერილი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საგანმანათლებლო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს შუამდგომლობას და ერთხმად დაამტკიცეს შეცვლილი დღის წესრიგი.

1. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საექთნო საქმე საერთაშორისო სტუდენტებისათვის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგიონალური გეოგრაფიისა და რეკრეაციული რესურსების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგიის) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციათა თეორიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიფერენციალური განტოლებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნეირომეცნიერებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
17. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოფიზიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
18. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მერქნული მასალების ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
19. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სატრანსპორტო ლოჯისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
20. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საავტომობილო ტრანსპორტის

1. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ირმა ნოზაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას, ისე, როგორც უნივერსიტეტში მოქმედ სხვა პროგრამებს ჰქონდეთ დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რაც უკეთეს პირობებს შექმნიდა შესაბამისი პროგრამების განვითარების, მათი საჭიროებების ადექვატური რესურსების მოძიების, პერსონალის მოზიდვის, გადამზადების, გაცვლითი პროექტების განხორციელებისა და საინვესტიციო დანახარჯებთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებისათვის;

- პროგრამის მიხედვით იკითხება საგანი „საფინანსო და საბანკო საქმიანობის სამართლებრივი პრობლემები“, რომლის სილაბუსის განხილვამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსის შინაარსი (თემების ჩამონათვალი) და ამ კურსის გავლის შედეგად მისაღწევი დარგობრივი კომპეტენციები არ არის შესაბამისობაში. მიზანშეწონილია, სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები - ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები - აღწერილ იქნეს ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;

- პროგრამის ფარგლებში ყველა სასწავლო კურსი არის 10 კრედიტანი. არ არის განსხვავება საკონტაქტო საათებში - ყველა კურსი ითვალისწინებს 56 საკონტაქტო საათს, საიდანაც ლექცია-სემინარებისათვის განკუთვნილია 45 საათი. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამით ძირითადად რაოდენობრივი საგნები ისწავლება(რომლებიც მოითხოვენ მნიშვნელოვანი მოცულობის პრაქტიკული სავარჯიშოების, სიტუაციური ამოცანების ამოხსნას), უკეთესი იქნებოდა სააუდიტორიო დატვირთვის გაზრდა. თუნდაც არსებული კვირეული დატვირთვა გაიზარდოს 9 საათიდან 12 საათამდე.

აკრედიტაციის ექსპერტმა გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა რომ, ზემოთ აღნიშნული მოსაზრებები რეკომენდაციის ხასიათის ატარებს და პროგრამის განხორციელებას ხელს არ შეუშლის.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა რეკომენდაციებს და განაცხადა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ ზემოაღნიშნულს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.



2. ა(ა)იპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დაადასტურდა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი კურსებისათვის (საგნის სწავლების მეთოდის მოდულის საგანთა გამოკლებით) გამოყოფილია 5 კრედიტი. სასურველია, რომ მას შემდეგ, რაც პროგრამა ამუშავდება, მოხდეს სასწავლო პროცესსა და სწავლების შედეგებზე დაკვირვება. ამ დაკვირვების მიზანი უნდა იყოს იმის დადგენა, თუ რამდენად არის საჭირო ან საკმარისი 5 კრედიტი კონკრეტული სავალდებულო ან არჩევითი კურსისათვის. მაგალითად, საჭირო/საკმარისი არის თუ არა 5 კრედიტი თანაბრად „განვითარებისა და სწავლის თეორიებისა“ და „კლასის მართვისათვის“. სასწავლო პროცესის დაკვირვების, სტუდენტთა და პროფესორთა მოსაზრებების საფუძველზე, სასურველია, მოხდეს კრედიტების განაწილების კორექტირება;

- „განათლების სამართლებრივ საფუძვლებში“, სასურველია, დაემატოს სკოლის დირექტორის პროფესიული სტანდარტისა და ეთიკის კოდექსის განხილვაც, რათა სრული სურათი შეიქმნეს მასწავლებლის, მოსწავლისა და სკოლის ხელმძღვანელის მოვალეობებისა და უფლებების შესახებ;

- სასწავლო ცხრილებისა და სილაბუსების მიხედვით შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის განკუთვნილი დრო საგანთა უმრავლესობისათვის შეადგენს 3 საათს. დამოუკიდებელი მუშაობის საათების შემცირების ხარჯზე, სასურველია, აღნიშნული საათების გაზრდა ცალკეულ საგანთა სპეციფიკის გათვალისწინებით. მით უფრო, რომ მათი დიდი ნაწილი ითვალისწინებს კომბინირებულ გამოცდას (წერა+ ზეპირი);

- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საგნის ან საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები არიან: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ქართულისა და მათემატიკის მასწავლებლები. თუკი პროგრამა მოამზადებს ასევე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებს, მაშინ მათი სწავლების მეთოდულ კონსპექტში უნდა იყოს ასევე დაწყებითის საფეხურის სწავლების მეთოდიკაც, რადგან მასწავლებლის სტანდარტის მიხედვით ამ საგნების მასწავლებლებს აქვთ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე სწავლების კომპეტენცია. სასურველია, აღნიშნული საგნების სწავლების მეთოდოლოგიაში დაემატოს დაწყებით საფეხურზე საგნის სწავლების მეთოდებიც;

- საგნის სწავლების მეთოდის მოდულის კურსების შეფასების სისტემის კომპონენტებში, სასურველია, პრეზენტაციის ან რეფერატის დამატება (როგორც მაგ.: მათემატიკის სწავლების მეთოდის შემთხვევაშია), რაც, ფაქტობრივად, გათვალისწინებულია კიდეც და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებიდანაც გამოიკვეთა. შედეგად, შეფასების სისტემა იქნება უფრო მეტად მოქნილი, ხოლო შეფასების კომპონენტები - მრავალფეროვანი (რის საშუალებასაც იძლევა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული შეფასების უწყისის ფორმა).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს და განაცხადა, რომ აპირებდნენ პროგრამის

მოდირიცირებას აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით და წარმოდგენდნენ მოდირიცირებულ ვარიანტს ყოველწლიურ თვითშეფასების ანგარიშში მაის-ივნისში. საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია. თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.


კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.



3. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის - საექთნო საქმე საერთაშორისო სტუდენტებისათვის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნა დადებითია. შენიშვნები და რეკომენდაციები არ არის.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ აკრედიტაციის პროცესი კარგი გამოცდილება იყო მათთვის, რადგან ეს იყო პირველი პროგრამული აკრედიტაცია, აქამდე დაწესებულება იყო ინსტიტუციური აკრედიტაციის რეჟიმში.

საბჭოს წევრმა იაგორ კალანდაძემ იკითხა, პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე („საექთნო საქმე საერთაშორისო სტუდენტებისათვის“) ქართველ სტუდენტს ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა ესწავლა აღნიშნულ პროგრამაზე, აღნიშულზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე დიდი მოთხოვნაა უცხოელების მხრიდან, თუმცა დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებელია ქართველი სტუდენტების მიღებაც. პროგრამის ფარგლებში პირველ და მეორე სემესტრში შემოთავაზებულია უცხო ენის კურსი ქართველი სტუდენტებისთვის და აგრეთვე ქართული ენის კურსი უცხოელებისათვის.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის - საექთნო საქმე საერთაშორისო სტუდენტებისათვის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამას - საექთნო საქმე საერთაშორისო სტუდენტებისათვის მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამით გათვალისწინებული კომუნიკაციის უნარის განვითარების მიზნით სასურველია გაძლიერდეს უცხო ენის სწავლება, რაც დაკავშირებულია უცხო ენაზე საგნების შეთავაზებითა და ასევე სასწავლო კურსების ფარგლებში შესაბამისი უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით;
- სასურველია სასწავლო კურსების ფარგლებში გაიზარდოს საკითხების სიღრმისეული შესწავლა პრობლემებზე დაფუძნებითა და ამავდროს ნაკლები დრო დაეთმოს სხვადასხვა ინსტიტუტებისა თუ პრინციპების ცნებების დონეზე შესწავლას;
- სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკული სწავლების კომპონენტს თეორიული კურსების სწავლების ფარგლებში;
- სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს კონკრეტული უცხოენის ცოდნა;
- სასურველია სასწავლო გეგმა და პროგრამა მეტად იყოს ფოკუსირებული ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებზე და კონკრეტულ სილაბუსებში გაიწეროს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის სპეციფიკა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ბ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამით გათვალისწინებული კომუნიკაციის უნარის განვითარების მიზნით სასურველია გაძლიერდეს უცხო ენის სწავლება, რაც დაკავშირებულია უცხო ენაზე საგნების შეთავაზებითა და ასევე სასწავლო კურსების ფარგლებში შესაბამისი უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით;
- სასურველია სასწავლო კურსების ფარგლებში გაიზარდოს საკითხების სიღრმისეული შესწავლა პრობლემებზე დაფუძნებითა და ამავდროს ნაკლები დრო დაეთმოს კონკრეტული სამართლებრივი ინსტიტუტებისა თუ კონსტიტუციური პრინციპების ცნებების დონეზე შესწავლას;
- სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკული სწავლების კომპონენტს თეორიული კურსების სწავლების ფარგლებში;
- სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს კონკრეტული უცხო ენის ცოდნა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამით გათვალისწინებული კომუნიკაციის უნარის განვითარების მიზნით, სასურველია გაძლიერდეს უცხო ენის სწავლება, რაც დაკავშირებულია უცხო ენაზე საგნების შეთავაზებითა და ასევე სასწავლო კურსების ფარგლებში შესაბამისი უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით;
- სასურველია სასწავლო კურსების ფარგლებში გაიზარდოს საკითხების სიღრმისეული შესწავლა პრობლემებზე დაფუძნებითა და ამავდროს ნაკლები დრო დაეთმოს კონკრეტული სამართლებრივი ინსტიტუტებისა თუ კონსტიტუციური პრინციპების ცნებების დონეზე შესწავლას;
- სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკული სწავლების კომპონენტს თეორიული კურსების სწავლების ფარგლებში;
- სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს კონკრეტული უცხო ენის ცოდნა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/8 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

7. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია რამდენიმე სილაბუსში (ეს განსაკუთრებით ეხება ორგანული ქიმიისა და ქიმიური ექსპერტიზის მოდულებს) მიღებული თეორიული ცოდნის განსამტკიცებლად ჩართული და გამოყენებული იქნას კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით შესასრულებელი პრაქტიკული სამუშაოები, ხოლო ამ ტიპის ხელსაწყოების შექმნამდე ჩატარდეს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ინფორმაციის მოძიება;

- სილაბუსში - „მრავალსაფეხურიანი ორგანული სინთეზი“ თანმხლები ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებისას კურსში დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია თუნდაც ერთი მრავალსაფეხურიანი სინთეზის შესრულება;

- აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს და სწავლებაში ფართოდ იქნას გამოყენებული მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების ადვილად ხელმისაწვდომი ელექტრონული ღია სალექციო კურსები;

- პროგრამაში დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელია ნივთიერების სისუფთავის და აღნაგობის დასადგენად საჭირო რამდენიმე მარტივი ხელსაწყო შექმნა და პერსონალის სათანადო გადამზადება აღნიშნულ ხელსაწყოთა სამუშაოდ;

- რამდენადაც სტუდენტის მიერ მოპოვებული ქულის განსაზღვრის ფორმულა გაწერილია მხოლოდ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განმარტებით ბარათში, სტუდენტის ცოდნის შეფასების მეთოდების გამჭვირვალობისა და სტუდენტის ინფორმირებულობის მიზნით, სასურველია შეფასების მეთოდის გამლა მოცემული იყოს პროგრამაში და სასწავლო კურსის სილაბუსებში.

- მიზანშეწონილია სასწავლო კურსების მეთოდი და ფორმატის გაიმიჯნოს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

8. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგიონალური გეოგრაფიისა და რეკრეაციული რესურსების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სახოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია, სასწავლო პროგრამაში GIS პროგრამების შესწავლას ეთმობოდეს მეტი კრედიტი (სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია 5 კრედიტი), რადგან თანამედროვე გეოგრაფიაში გეოგრაფიული ინფორმაციის მოპოვება, შენახვა, ანალიზი და შემდეგ მათი გრაფიკული, ვიზუალური და სივრცითი დამუშავება, ციფრული რუკების შექმნა, გეოგრაფიულ ობიექტებზე დამატებითი ინფორმაციის რედაქტირება ხდება გეოინფორმაციული სისტემების მეშვეობით. რაც უფრო სრულყოფილად იქნება სილაბუსში ასახული პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფის მეთოდები და ხერხები, მით უფრო მეტად იქნება მაგისტრი კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე.

